№ 4 იანვარი 8, ოთხშაბათი. 1886 იანვარი 5, ოთხშაბათი № 4.

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის სავაჭროს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი.

— ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41 годъ изданія).

Въ 1886 году газета «КАВКАЗЪ» будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

съ достакою въ тифлисѣ:

На годъ	11 р. 50 к.
» полгода	6 р. — »
» 3 мѣсяца	3 р. 50 к.
» 1 мѣсяцъ	1 р. 50 к.

съ пересылкою

по имперіи	по почтовому союзу
13 р.	18 р. 40 к.
7 р.	10 р. — »
4 р.	6 р. — »
1 р. 75 к.	2 р. — »

подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногор. адресовать: *Тифлисъ. Въ Редакцію газеты «КАВКАЗЪ».*

ტფილისი, 7 იანვარს.

პატიოსანი და ყოვლად მაღალზნეობიანი ჯაფა და გამრჯელობა ოსტატისა, მასწავლებელისა, გამზრდელისა, ქალია თუ მამაკაცი, იმოდენად პატივ-დებული არ არის, რამოდენადაც ღირსია. ეგ რომ მარტო ჩვენში იყოს ესე, კიდევ იტყოდნენ, გაუნათლებელი, გონება-გაუხსნელი ქვეყანაა და, რასაკვირველია, აგრე იქნება ჯერ ხანადაო. საქმე იმაშია, რომ ბევრგან სხვაგანაც ეგრეა, ჩვენდა სამწუხაროდ. სხვა რაც უნდა მდაბიო სამსახური იყოს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, რაც უნდა მცირე თანამდებობა ეჭიროს კაცსა, რაგი თანამდებობაა და სამსახურია, უფრო მომეტებულის პატივის-ცემით ექცევიან. ამას კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, თუ რომ მასწავლებელის მართლა და მძიმეს, რთულს და დიდს ჯაფას და მოვალეობას გასამსჯელო მაინც საკმარისი ეძლეოდეს. ეს ნამეტნავად ცხადია მათ შესახებ, ვისაც სასოფლო სკოლის მასწავლებლობა თავის მიდრეკილებისამებრ ამოურჩევია და მისთვის შეუწირავს თავისი უკეთესნი დღენი-ცხოვრებისანი. ამათ არც სამსახური სამსახურათ ეთვლებათ და არც იმოდენა გასამსჯელო აქვთ, რომ სოფლის მასწავლებელის ჭირნახულობისათვის ცოტად მაინც შეზომილი იყოს. ცოტად, თუ ბევრად ნასწავლი, გონება გახსნილი სოფლის მასწავლებელი არის სადღაც მიყრუებულ ადგილას, ქვეყნის სიამოვნებას მოშორებული, ბევრჯელ მშიერი, ბევრჯელ მწყურვალი, ბევრჯელ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგურიც არა აქვს, რომ ავდარს მაინც გადურჩეს გაულახველად, დილიდამ საღამომდი იბრძვის, იღვწის ბაშვების მომზადებისა და აღზრდისათვის და ყოველ ამისთვის ოცი და ოცდა ათი თუმანი აქვს წელიწადში საცხოვრებლად. კაცმა რომ სამართლიანად გასინჯოს ეს ყოვლად უნუგეშო გარემოება სოფლის მასწავლებელისა, დააკვირდეს მის დაუღალავს ღვაწლს ყოველის დღისას, არ შეუძლიან იმ აზრზედ არ დადგეს, რომ სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის გაწირვაა, სხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული, უფრო გამწვავებული.

ამ მხრით უფრო უარესს ყოფაში არიან ქალები მასწავლებელნი, ნამეტნავად თუ ბედს არ ურგუნებია მათთვის სახელმწიფო სასწავლებელში სადმე რაიმე თანამდებობა. ამათი ჯაფა, იმავე თავგაწირულობით და სიმძიმით დატვირთული, უფრო ნაკლებ პატივცემულია, უფრო ნაკლებ დაზღვეულია გასამრჯელოთი და სასყიდლითა. გარდა ამისა რაც უნდა უკედ მომზადებული იყოს, რაც უნდა თავ-გამომეტებული თავისის თანამდებობის აღსრულებისათვის, რაგი ქალია, იშვიათად უპირატესობა მიეცემა ხოლმე მამა-კაცის წინაშე, როცა ორივენი ერთს დროს წარსდგებიან ადგილის საშოვნელად. ეს გარემოება და ცილება ხშირად კარგად მომზადებულს ქალს ულუკმა-პუროდ ჰსტოვებს და საწყალი ქალი, რომელმაც უკეთესი თვისი დრო მასწავლებლად მომზადებას მოახმარა და შესწირა იმ პატიოსანის ფიქრით, რომ ჩემს დედ-მამას მუქთა მჭამელად აღარ ვეყოლები, მე თვითონ მოვინაგრებ რასმეო, გულ-დაწყვეტილი ემორჩილება უმართლოებას და გარემოების სისასტიკეს, ზნეობრივად დაჩაგრული და ღონე მილებული.

ასეთმა ყოფამ ქალის-მასწავლებელისამ გამოიწვია ჩვენში ერთგვარი საზოგადოება საკუთრივ ქალთა-მასწავლებელთა შემწეობისა და ხელ-შეწყობისათვის. სასიამოვნო ეს არის, რომ ეს საზოგადოება შეჰსდგა თვით ქალების თაოსნობით და მეცადინეობით და 4-ს იანვარს, როცა დამტკიცებულის წესდების ძალით, პირველი კრება მოხდა ამ საზოგადოებისა, საზოგადოება მოქმედებას შეუდგა. საზოგადოების მმართველად და გამგებლად სულ ქალები არიან ამორჩეულნი და სწორედ ამიტომ დიდი იმედი გვაქვს, რომ საქმე კეთილად წარიმართება. ქალები ამისთანაებში უფრო მხნენი, უფრო მოხერხებულნი, უფრო დაუღალავნი არიან, ვიდრე, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენ მამა-კაცნი ვართ. ამ საქმის დამწყობთა სადიდებლად და ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენ ეს უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში ქალების მხრით თავისის საკუთარის ძალ-ღონით ბურთის გატანისა ცხოვრების მოედნიდამ. პირველი მაგალითია, რომ ქალებს თავისი საქმე დაუწყვიათ უსარგებლო ჩივილით და ხვეწნით კი არა, როგორც აქამდის ვიცოდით ხოლმე, აცა გვიშველეთ, ვიღუპებითო, არამედ თვისი საკუთარი მხნეობა, საკუთარი თაოსნობა და საკუთარი თვით-მოქმედება ფარხმალად აუღიათ, რომ თავის საკუთარის ძალ-ღონით წინ აღუდგენ ქალთა დამჩაგრავს გარემოებასა და ბედი, შეძლებისამებრ, თავისაკენ მოატრიალონ. ამ თვით-მოქმედებაშია მთელი სიმძიმე ამ თავ-მოსაწონისდა პატიოსანის საქმისა, ამასთანავე მთელი სახელოვანებაც და ამაზედვეა დამყარებული იმედი გამარჯვებისა. თვით-მოქმედება ყოვლად მხნელი და ძლევა-მოსილი ძალია ყოველს ფერში და ნამეტნავად მაშინ, როცა კაცს, თუ საზოგადოებას თავის თავის შველა უნდა.

ი. ჭ.

დეპეშა

იანვრის 5.

ხარკოვი. ეგრედ-წოდებული რუსეთში «კრეშჩენსკაია იარმარკა» უკვე გაიმართა; ჯერ-ჯერობით ალებ-მიცემა არ გაძლიერებულა.

კიევი. გუშინ გარდაიცვალა 81-წლის პოეტი პოდოლინსკი.

პარიჟი. იმ საგნების გარდა, რომელიც უკვე მოხსენებული იყო, სამინისტრო დეკლარაცია ერთს საყურადღებო საგანს შეეხება კიდევ. ეს საგანი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაა. დეკლარაციაში სწერია, რომ ჩვენმა ქვეყანამ ეხლანდელის არჩევანით თავისი სურვილი გარკვევით გამოაცხადაო. ეს ის სურვილია, რომ საფრანგეთი მშვიდობიანს და ღირსეულს პოლიტიკას დაადგესო, მთელს თავის სამხედრო ძალს საფრანგეთის მიწა-წყალზე ერთად თავი მოუყაროს, ხოლო იმიტომ კი არა, რომ ამით მუქარა გაუწიოს ვისმეო. ამით, საფრანგეთს ჰსურს საერთო პატივისცემით იხსენიებოდესო. ჩვენ ქვეყანას გასაგონადაც ემძიმება შორეული გალაშქრება, რადგანაც მაგისთანა გალაშქრებას დიდი მსხვერპლი სჭირდება და ხშირადაც თვითონ გალაშქრების საგანიც ცხადი არ არისო.

ბელგრადი. სახელმწიფოებმა წინადადება მისცეს, რომ სერბიას თოფ-იარაღი აეყარა, მაგრამ მან უარი სთქვა. ჯერ ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკება არც-კი დაწყობილა, შეიძლება უეცრად თავს დაგვესხას მტერიო. ამას გარდა უარს იმიტომ ვამბობთ, რომ სახელმწიფოები არა კისრულობენ იმავე დროს ყველას აყრევინონ თოფ-იარაღი, ვინც საქმეში ასე თუ ისე ჩარეულიაო.

კონსტანტინეპოლი. პორტა და მთავარი ალექსანდრე თითქო უშუაკაცოდ, პირის პირ რიგდებიან ერთმანეთთან. პორტას თვალ-ყური წინანდებურად უფრო საბერძნეთზე უჭირავს.

იანვრის 6.

ხაბაროვკა. ჟელტუგის ამბავი ცოტაოდნად გაზვიადებულია: არავინ არ დაუხოცნიათ. ჩინეთის ჯარებმა ისე დაიპყრეს ჟელტუგა, რომ სისხლი არ დაღვრილა, მხოლოდ მუშებს დაატანეს ძალა დაენებებინათ თავი მუშაობისათვის. ეს მუშები მოდიან უკან ამურის ხეობისკენ, გზა დიდია და მათი მდგომარეობა მართლა ძალიან შესაბრალისია.

ფელეტონი

მევენახის სიმღერა.

ვაზის ჰირიმე, ვაზისა,
უფლისგან კურთხეულისა,
წითელი ღვინის დედაა,
გამხარებელი გულისა!...
ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაშებ გადგიგრეხია,
ჩაჰკონებიხარ ჰიგოსა,
შუაზე გადგიტეხია...
თუ დაგიზურგავს ყურძნითა
ვერ გაუძლია ბეჩავსა...
რად არ ამკიდე, ვზიდავდი,
არ დავზოგავდი მე თავსა!...
ჰირიმე შენი ფესვისა,
მოვკვდები მე შენს ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი,
იმედით გასაჭირშია!
შენი ზედაშის მადლს ვფიცავ,
შენ არ მოგაკლო ბარია,
გაგსხლა, შაგყელო, დაგთოხნო,
არც კი ჩნდეს მონათხარია;
გაგფურჩნო, გაგალამაზო,
როგორც რომ პატარძალია,
აღარ დავზოგო მე, შენთვის,
ჩემი ღონე და ძალია...
ვაზის ჰირიმე, ვაზისა,
უფლისგან კურთხეულისა,
წითელი ღვინის დედაა,
გამხარებელი გულისა!..

თ. რაფ. ერისთავი.

ვალტერ-სკოტის-მიერ თქმული.

სად ტირიფს და თხილს ტოტნი გადუბავს,
იქ ჩრდილ ქვეშ ია ჰყვავის, ბიბინებს,
და თვის სიტურფით ფერსა უკარგავს
წალკოტების და მინდვრის ყვავილებს.
ვიშ რა ბრწყინავენ და ღაღანებენ
ნამისაგანა ეს ყვავილები!
მაგრამ მინახავს უფრო ბრწყინვალე
თვალნი ცრემლითა დანამულები.
როგორც ქვეყანას მზე მოჰფენია,
მსწრაფლ შეჰშრობია ნამი ფოთოლს, ველს:
ამაზედ დიდ ხანს არ უბრწყენია
ჩემს სატრფოს თვალში განშორების ცრემლს.

ი. ბაქრაძე.

საახალწლო მეკვლე.

შემოვსდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი—კვალი ანგელოსისა! ღმერთმა მოგცეთ ჯიბეში ფული, თავში ჭკუა, ხელში ნიჩაფი, მხარზე ცული... შინ მშვიდობა და გარეთ გამარჯვება!

მეკვლეს თაბაუთი მოითხოვს სათვითაოდ დაილოცონ ჯალაბობის ყველა წარმომადგენელნი. ჩვენი ჯალაბობა ჩვენი ქვეყანაა. აბა, მხვნელ-მთესველნო, მომილოცავს თქვენთვის შობა-ახალ-წელიწადი! მრავალს ამ დროს დაესწარით თქვენის ცოლ-შვილით. გიცოცხლოთ თქვენი ქულფათები, ავი თქვენს დუშმანს და სიკეთე თქვენს ჯალაბობას... ჯანი მრთელი და გული მხიარული მოგცეთ სასოომ. ირემა, ჯორელა, წაბლა და შვინდა გაგიმრავლოთ, თქვენს შრომას ნუ მოაკლოს თვალი ღვთისა. მოგასწროთ, ძმობილებო, იმ დროს, რომ ალაგას და უალაგოს, მთაში, თუ ბარში, სარწყავში, თუ ურწყავში ქსელივით გაბმული-ყვნენ რუები, არხები, ლარები, მილები, რომ ღამის და დღის მეხრე ბიჭებს სჭეროდეთ იღლიაში წიგნი და ხელში სახრე, რომ ყველა სოფლის სამსჯავროების სამწერლოების გვერდით ჩაწკიპულიყვნენ სკოლები. მისცეს ღმერთმა, ყუათი და დოვლათი თქვენს მაჯას.

ეი, ფეიქრებო, იხაროს თქვენმა ჯანმა, მაჩვენოს უფალმა თქვენი ხელობა გავრცელებული ჩვენში; პატარა ოსტატ-შაგირდები მენახოს თქვენს საფეიქროში. თქვენი ხელობა ნათელი საბუთია იმისი, თუ როგორ ყვაოდა ოდესმე ჩვენში ეროვნებური ხელოსნობა!

ძალუეებო, ნათლის დედებო და ნათლის ჯალაბებო! ვაცხოვნე თქვენი მამა! თქვენ ხართ დღეს ქართველ

ბერლინი. ორის დღის განმავლობაში ჰქონდა სჯა რეისხტაგს რუსეთისა და ავსტრიის ქვეშევრდომთა განდევნაზე პრუსიიდამ. რეისხტაგმა ამ საგნის შესახებ, ვინდგორსტის წინადადებისა მებრ გადასწყვიტა: გამოვაცხადოთ, რომ, ჩვენის აზრით, პრუსიის მთავრობის განკარგულება ქვეშევრდომთა განდევნაზე სრულიად უმიზეზოა და არც საიმედო ქვეშევრდომთათვის სასარგებლოა. რეისხტაგში არც ერთი წარმომადგენელი მოკავშირე მმართებლობათა არ დასწრებულა.

რომი. გუშინ ბარში მობრძანდა მთავარი ჩერნოგორიისა. (შავი მთისა).

ახალი ამბავი

ყველასაგან კარგად ცნობილი ყაჩაღი ქიარიმა, რომელიც წარსულს ზაფხულს დილიჯნის ხეობაში იყო დაბინავებული და გამვლელ-გამომვლელს გულ-მტკივნეულად შეუსუბუქებდა ხოლმე საპანეებს, ახლა ოსმალეთ-სპარსეთში დაქეიფობს თურმე. ამ ცოტა ხნებში მოუწადნია კიდევ ჩვენში გამოსეირნება, მაგრამ ისევ უკან დაბრუნებულა, რაკი გაუგია, რომ დიდი ჯილდოა დანიშნული მისის დამჭერისათვის.

ეტყობა, სიცოცხლე იმასაც გასტკბობია და თავი ჯერ არ მოჰბეზრებია.

⁂ დიდის ხნის დევნის შემდეგ, ძლივს დაუჭერიათ მეორე განთქმული ყაჩაღი ალი-ხიდირ-ოღლი, რომელიც ეხლა შუშის ციხეშია დამწყვდეული. როდესაც სამსჯავროში მოწმად მოწვეულ თათრებს ჰკითხეს, ხომ იცნობთ ამ ყაჩაღსაო, ყველამ უარი სთქვა იმის გამო, რომ, ვაი თუ ციხიდამ კიდევ გამოიქცეს და მაშინ ხომ ყველას აგვანიავებსო. მხოლოდ ერთმა რუსის აფიცერმა მაშინვე იცნო ყაჩაღი ორმოც კაცში, ხელი გაიწვდინა იმისკენ და სთქვა: «ეს არის სწორედ ის, რომელმაც მე გამძარცვა და ჩემი ყაზახიც მოკლაო».

⁂ სოფ. კახიდამ (ზაქათალის მაზრა) გვწერენ, რომ იქ წლეულს ღვინის კარგი მოსავალი ყოფილა. ვიღაც ტფილისელ მოვაჭრეს ადგილობრივი თალარი (30 ჩაფი) ღვინისა ოთხ-ხუთ მანათათ უყიდნია და გაუგზავნია ბათომში. თურმე ბათომის ოლქის ხალხი ძლიერ ეწყობა საინგილოს ღვინოს, რადგან ამ ორთავე ქვეყნის ღვინოები ერთგვარი თვისებისა არის.

⁂ იმავე სოფლიდამ გვაცნობებენ, რომ კახის უფროსის მოთავეობით ამ სოფელში აშენდა სასოფლო აბანოო, აფთიაქის გამართვასა და ექიმის მოწვევასაც ვაპირებთო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: რაც რუსეთის მმართველობა დამყარდა საინგილოში (1844 წ), მას შემდეგ დღევანდლამდის სასამართლოს უწყებანი იწერებოდა თათრულს ენაზე, თუმცა მცხოვრებნი უმეტესად ქართველნი არიან. კახის აწინდელმა უფროსმა ყოველ-გვარი მიწერ-მოწერა ინგილოთა მიმართ დააწესა ქართულს ენაზეო.

⁂ აღბულაღიდამ ჩამოსულ პირებმა გვითხრეს, რომ უთოვლობისა და უწვიმობისა გამო ყინვებმა ძლიერ დააზარალა ჯეჯილიო. ზოგიერთგან ნიადაგი ისრე დამსკდარა, როგორც დიდის გვალვის დროს იცის ხოლმეო. თუ მალე თოვლი არ მოვიდა, ჭინახულზედ სრულებით ხელი უნდა ავიღოთო.

⁂ 4 იანვარს საქალებო გიმნაზიის დარბაზში კრება იყო «მასწავლებელ და აღმზრდელ ქალების ურთიერთის შემწეობისათვის დაარსებულ საზოგადოების» წევრთა. კრებაზე 80 წევრი ყოფილა გარეშე მაყურებელთა გარდა. კრებას დასწრებია აგრეთვე კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი.

საზოგადოების და მმართველობის თავსმჯდომარედ ამოურჩევიათ კ-ჟნა ან. მ. თუმანიშვილისა. მმართველობის ანუ კომიტეტის წევრად: ქქ. იაკოვლევისა, ყიფიანისა, დუმანსკისა, კლაუს და პოლეტაევისა, საქმის-მწარმოებლად არღუთინსკისა—დოლგორუკისა, რომელსაც კრების დაწყობისათანავე საზოგადოების დანიშნულებასა და მნიშვნელობაზედ ჩინებული და შესაფერი სიტყვა წარმოუთქვამს.

ნაკვესი

ბატონს პეტრე უმიკაშვილს, ყველასაგან ცნობილ, მრავალ ღირსებით შემკულს და პატივცემულს, დინჯი, აუჩქარებელი და დამჯდარი ლაპარაკი უყვარს. ამასთან ერთი მცირეოდენი ნაკლიცა ჰსჭირს: გაჭიანურება იცის ლაპარაკისა. ერთხელ იგი შეხვდა ტფილისში ქუჩაზედ ქუთაისელს სიტყვა-მოსწრებით გამოჩენილს თ. ანტონ ლორთქიფანიძეს.

— ააა, ანტონ, ანტონ! როგორ მშვიდობით, როგორ ჯარგად? შეჰკითხა ბ-ნმა პეტრემ: «ამას წინად»...

— მადლობა ღმერთს, კარგადა, ხოლო ნუ გააგრძელებ ჩემო პეტრე, ლაპარაკს: მე სულ ორის კვირითა ვარ აქ ჩამოსული,—გააწყვეტინა სიტყვა ანტონმა.

ინ და ზანი.

* * *

დედავ, ინგლისელები მოდიან, იმათი ენა უნდა ვისწავლოო, უთხრა მიხეილ ამილახვარმა თავის მშობელს, ყირიმის ომების დაწყების დროს.

— რატომ აქამდე არ ისწავლე, შვილო, თუ ასე გინდოდა.

— რა ვიცოდი, რომ ისინი მოვიდოდნენ.

— რუსები რომ აქ იყვნენ, ხომ იოდი, რატომ რუსული არ ისწავლე, თუ ასე მარჯვე იყავიო, მიუგო გულ-ნაკლულმა მშობელმა.

ლელო.

მმართებლობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა უუმოწყალესად კეთილ-ინება და უბოძა მერვის მაზრის უფროსს, ცხენოსანის ჯარის პოდპოლკოვნიკს მაქსუდ ალიხანოვს წმ. გიორგის ორდენი 4-ე ხარისხისა.

დაინიშნებიან: მომრიგებელი შუაკაცი შუშის განყოფილებისა, ელისავ. გუბ., პოდპოლკოვნიკი თ. თარხან-მოურავოვი—ყაზახის მაზრის უფროსად იმავ გუბერნიაში და არმიის კავალერიაშივე დარჩება; უფროსი ჩილდირის განყოფილებისა, არდაგანის მაზრისა, კაპიტანი ტოვალოვიჩი— საგარლუგის განყოფილების უფროსად, ყარსის მაზრაში.

ებოძათ: ილდირის ადგილობრივ ბრიგადის უფროსს, შტაბს-კაპიტანს ბეგ-ზურაბოვს; უფროსს ახალ-თუმნის ადგილობრივი კომანდის შტაბს-კაპიტანსვე რეიმერსს—ორთავეს კაპიტნის ხარისხი; ელისავეტოპოლისა, პოდპორუჩიკს ერმოლაევს—ოზურგეთისა, პოდპორუჩიკს დავიდოვს—ორივეს პორუჩიკის ხარისხი.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ ავათმყოფობის გამო 150 ტამანის ქვეითის ჯარის პოლკის კაპიტანი ჩეთვერიკოვი—პოდპოლკოვნიკის ხარისხით, მუნდირით და სრულის პენსიით.

დამაკვირდი!

ბრძნის ცოდნისა მომდომელნო,
ქსეათ მისი ნიში:
არცა ქებას აუზვავდეს,
არც მრახვისა ჰქონდეს შიში.
(მეფე ვახტანგ VI.)

⁂

— უგულო ადამიანი სულელია, იმიტომ—რომ აზრი, ზრახვა გულიდამ გამოდის და არა თავიდამ.

(ჰეინე).

⁂

— გულში ატარე ადამიანი, რომ პატივჰსცე იმა სიყვარულითა, რომელიც ათბობს და ანათებს შენს სულიერს ბუნებასა.

(სენეკა).

⁂

— დიდ-ბუნებიანთა კაცთა ხშირად თან ჰსდევს სევდა.

(არისტოტელი.)

⁂

ყოველს შენს მოქმედებასა და საქმეში წაიმძღვარე ისეთი წესი, რომ საზოგადოდ ყველასათვის წესად დასადები იყოს

(კანტ).

⁂

— ყოველი დიდი საქმე კაცობრიობისა სისხლით იწერება ისტორიაში.

(თეოდორე პარკერი.)

⁂

ერთხელ ფილიპეს, ალექსანდრე მაკედონელის მამას, დაებარებინა ბერძნები საქმეზედ მოსალაპარაკებლად. თუმცა დღისით იყო ეს ამბავი, მაგრამ ფილიპეს ეძინა იმ დროს და ლოდინით დაღალულთა ბერძენთა ერთი ალიაქოთი აეტეხნათ თურმე, ამდენს ხანს რას გვაცდევინებსო.

— ნუ გიკვირთ, რომ ფილიპეს ეხლა ჰსძინავსო, სამაგიეროდ იგი ყოველთვის ფხიზლობს და მღვიძარეა ხოლმე, როცა თქვენა გძინავთო, უთხრა ბერძნებს პარმენიონმა.

დაბა და სოფელი

სვანეთი. (კორესპონდენ. «ივერიისა») ძველი «მახვშიობა» (მამასახლისობა) თავისუფალ სვანეთში შესწყდა მხოლოდ 1869 წელს, როდესაც პირველად დაწესდა მთავრობისაგან ახლანდელი მამასახლისობა. რუსის მმართველობის სვანეთში შესვლის პირველს ხანებში სვანეთის თავდაპირველის პრისტავის თ. ალექსანდრე მიქელაძის ამალას შეადგენდნენ მახვშიები, რომელთა დახმარებით შეჰქონდა მას, მიქელაძეს, ახალი კანონები. 1853 წ. პოლკოვნიკი ბართოლომეი, ცნობილი არქეოლოგი და ნუმიზმატიკი—და თ. მიქელაძე ერთად აღებინებენ ფიცს ლატალის საზოგადოებას (თავისუფალ სვანეთშია *) მახვშის აბი ფარჯიანის შემწეობით. მიქელაძეს შემდეგ სვანეთის პრისტავად ინიშნება თ. სვიმონ ამირეჯიბი. ამირეჯიბის გარშემო ჰგროვდებიან ყველა საზოგადოების მახვშიები, რომელთაც «მახვშის» სახელის ნაცვლად მდივანბეგები დაერქვათ და დაენიშნათ ჯამაგირებიც, თვითოს 150—300 მანათამდე. შემდეგ ამირეჯიბისა პრისტავად დანიშნეს ი. მამაცაშვილი; ამის შემდეგ თ. ჯორჯაძე და ამათ ხელში მახვშიები, დიამბეგებად წოდებულნი, თან-და-თან ჰკარგვენ თავიანთს ადრინდელს მნიშვნელობას და 1869 წელს ეს მდივანბეგობაც ისპობა და, როგორც სხვაგან, ისე სვანეთშიაც შემოღებულ იქმნა ახლანდელი მამასახლისობა და «სასოფლო წესდება». ამ ახალ წყობილებას მახვში ვერ ითვისებს, ხალხსაც უცხოება და პირველის სამის წლის 1869—1874 განმავლობაში ხდება არევ-დარევა მამასახლისის და ძველის მახვშის უფლებათა გაუგებლობისა და მოურიგებლობისგან. ხოლო შემდეგ, როცა ვადა პირველის მამასახლისისა გათავდა და მის ადგილს სხვა ჩადგა, ხალხმაც და მამასახლისმაც ცოტად თუ ბევრად შეითვისეს ახალი წყობილება და ასე მომდინარეობს დღემდის.

ვინ იყო ეს ადრინდელი «მახვში», რა მნიშვნელობისა და უფლებათა მექონი?

სიტყვა «მახვში», სვანურად ჰნიშნავს უფროსს, მეუფროსეს, თითქმის იმავე მამასახლისს. იგი იყო სასოფლო ერილობის თავსმჯდომარე და ამ გვარად მისი როლი ბევრად წააგავს როლს რესპუბლიკის პრეზიდენტისას, რასაკვირველია, განსხვავებით. მახვშს ირჩევდენ უვადოდ და თუ იგი კარგი გამოდგებოდა, ეს თანამდებობა შერჩებოდა მას ღრმა სიბერემდის. უვარგისს მახვშს კი ფიცხლავ გამოსცვლიდენ ხოლმე ყოველს ჟამს, თუნდა წლამდინაც. მახვშის არჩევანში მონაწილეობის უფლება ჰქონდა მინიჭებული ყველას, ვინც კი სრულ-წლოვანი იყო, ასე რომ ერთის ოჯახიდამ 30 სრულ-წლოვანი რომ ყოფილიყვნენ, ყველას შეეძლო დასწრებოდნენ და მონაწილეობა მიეღოთ არჩევანში. შესანიშნავი ის არის რომ ქალებსაც მინიჭებული ჰქონდათ ეს უფლება. სრულ-წლოვანს მანდილოსანს რომელსამე მეკომურისას იგივე ხმა ჰქონდა, როგორც ქუდოსანს. მაგრამ, საზოგადოდ, მანდილოსანთ რი-

---

*) «დროება», № 198 1885 წ.

დიაცის გამომხატველნი, თქვენში დაცული სურათი ქართველის დედა-კაცისა! ნუ მოგაკლოსთ მაცხოვარმა კაი საჩეჩელი, ლამაზი ჯარა, კოხტა თითის ტარი, მშვილდი და საქარგავი. კვალად ნუ მოგვაკლოს თქვენი გამომცხვარი პური, ნაზუქი, ხმიადი, ხაჭაპური, ქადა, ალაო, მჭადი, თქვენი გაკეთებული ხარშო, ნიორ-წყალი, ჭრიანტელი, ლოლოს, ლობიოს, ასლის, კორკოტის, შინდის, საფალნის შეჭამანდები, თქვენი დაქსოვილი ფერად-ფერადი წინდები, ჩახ-საკრავები, ხელთათმანები, პაიჭები, ნუ მოგვაკლოს თქვენმიერ დამზადებულნი საახალწლოდ ბასილა, ბედის კვერი, ალვა, გოზინაყი, ალვახაზი! იცოცხლეთ დიდ ხანს, ძალუმ-ნათლი-დედ-ნათლის ჯალაბებო!

მეჭურჭლენო, ხარაზებო, ქარგლებო, მოგილოცავთ: განაძლიეროს ღმერთმა თქვენი ხელობა ჩვენში. ხელობალაა ჩვენი ღონე, ბიჭებო, ჩვენი გაჭირების ტალ-კვესი, სალსარი ცხოვრებისა. მაშ გაუმარჯოს თქვენს მარჯვენას!

ეი, ჩვენო თავად-აზნაურნო, თქვენ ხელთაა მრეწველობის, მეურნეობის აღორძინება ჩვენში. თქვენ ხელთაა ის სანოვაგე და ყოვლად საჭირო საგანი, ურომლისოდ ხალხს ქვეყანაზე ცხოვრება არ შეუძლიან. ესა მიწა-წყალია! მოგცეთ მაცხოვარმა ტომრებით, ზელლებით ფული, რომ მამულები ხელიდგან არ წაიღეს. მამულია ჩვენი ქვეყნად ცხოვრების ძალ-ღონე. მაშ მოგცეთ უფალმა კარაპეტას შნო და «იკომონია», რომ მამული იყოს ყოველის ხიფათის და ფათერაკის გარე.

«მადამ-მადმოაზელებო!» სათქვენო «ფართი-ფურთები» არ ვიცი. მივჩმახ-მოვჩმახავ და ნუ დამძრახავთ ამაზე: თქვენ ყველა მხრით ბედნიერები ბძანდებით, ღმერთს თქვენთვის მოუცლია, რაღა! თავზე სოკო, ფეხზე კოშკი, ხელებზე ბუხარი, ზურგზე ვარცლი! ყველა ქალს ეტყობა, რომ ის ან ნემეცია, ან ინგლისელი, ან რუსი, ან ფრანციელი; თქვენი მე ვერა გამიგია-რა. თქვენამც მენახეთ ამ სახით: სტოლზე დაობებული შოთი, ნიორწყალი, ლოლოს შეჭამანდი; ერთ გვერზე გორგალი, მეორეზე ჯარა, აქედ საჩეჩელი, იქ თითის ტარი, ტანზე ქართული კაბა, თავზე ლეჩაქ-დალალკავები და ამასთან ის ენა, რომელზედაც სიზმრებს ხედავთ ხოლმე! ეს წყევლა მომილოცავს თქვენთვის «ბარიშნა-მადამ-მადმოაზელებო!»

ასულთა ინტელიგენციისთვის ვისურვებ წაღმართულს შრომას, მუყაითობას, საზოგადო ასპარეზისადმი სიყვარულს, თავდარიგობას, ერთგულებას და ერთ-სულობას. აშოროს ღმერთმა ამ დასის ქალებს ის აზრი, რომ თუ ქალი მარია-ტერეზია-სტალი, სემირამიდა და ან თამარი არ იქნებაო, საზოგადო ასპარეზზე არ გამოვაო. მოგვასწროს იმ დროსა, რომ ამათ დაეწესებინოთ გონების სავარჯიშოთ და საზოგადო სარგებლობისთვის რაიმე რთობილი შრომა. გვენახოს კიდევ «ქალების ჟურნალი».

ჩვენ ბევრი ნასწავლი ქალები გვყავს, რომელთაც კაცებთან ერთად შეუძლიანთ ჭაპნის წევა ყოველ-გვარს საზოგადობრივის მოღვაწეობის ასპარეზზე. ეს რო არ იყოს ჩვენში მიყუჩებული, რომ იგი თამამად იყოს გამოსული საზოგადობრივს სარბიელზე, მაშინ ჩვენ კოჭი ალჩუს დაგვიჯდება. გაუმარჯოს ამ გვარს ქალებს წაღმართის შრომის აღსადგენად. შემოვსდგი ფეხი, ქალებო, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი—კვალი ანგელოსისა!

ჭკუის ოსტატებო! თქვენთვის ვსთხოვ, როგორც მეკვლე, დაუსაბამო არსებას, უშინსკის ერუდიციას, კომენსკის დიდაქტიურს გამჭრიახობას, პესტალოცის სულ-გრძელობას და ეგნატ-ლოიოლობას.

ჩვენს ნაციონალურს მწერლებს მიულოცავ. მათთვის ვინატრი განათლებულს წესს მსჯელობისას, საკაცობრიო მიმართულებას და ამასთან შენელებლად ოპორტიუნისტობასაც.

ხუმარა.

ცხვი ყოველთვის ნაკლები იყო მამაკაცზე არჩევანის დროს.

მახვში უნდა ყოფილიყო ხანში შესული კაცი, მაგრამ მამაცი, გამოცდილი, პატიოსანი, გონიერი და საზოგადოების ერთგული. აღრჩევა მახვშისა მოხდებოდა ყოველთვის ერთს აღნიშნულს ადგილს, რომელსაც სხვა-და-სხვა საზოგადოებაში სხვა-და-სხვა სახელს უწოდებენ. ერთი «ლალხორ», მეორე «სვიფ» (?) და მესამე «სახვე» *) (სადადიანო სვანეთში). ეს სახელები ჰნიშნავენ სახალხო ადგილს, «agora»—ბერძნულად და «Forum» რომაულად რომ ჰქვია. ამ სარბიელ ადგილზედ საზოგადოება ერთბაშად თავს მოიყრიდა, რაკი საჭირო იქმნებოდა ახალის მახვშის არჩევა. აქვე იკრიბებოდა საზოგადოება ყოველთვის, როცა ერთობის შესახები რამ საქმე იქმნებოდა. ჯერ მივიდოდა ერთი რომელიმე წევრი საზოგადოებისა, დაუკრავდა ბუკს (საყვირი) ხალხის შესატყობინებლად. მაშინვე ყველანი შეიმოსებოდნენ საგარეო და სადღესასწაულო ტანისამოსით და შეიარაღებულნი წარემართებოდნენ დანიშნულს ადგილს. აქვე წარსდგებოდა სამახვშიო პირი, რომელიც ხალხს ჯერ უწინდელის მახვშის სიცოცხლეშივე ჰყავს ნაგულვები სამერმისო მახვშის მოადგილედ. ასე რომ მახვში დიდის ხნითვე აღრჩეულია წინასწარ და თუ ახლა ხალხმა თავი მოიყარა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ სახალხოდ ჩააბაროს მას ეს თანამდებობა.

ვისიც რიგი იყო მოსვლისა, ყველანი მოგროვილნი არიან, ყველას მხიარულება ეტყობა, ბაასი და ხსენება პატივისცემით უწინდელის შესანიშნავის მახვშებისა. ბოლოს ხალხი შეჯგუფდება და წინ წამოაყენებს სამახვშიო კანდიდატს. ხალხი და მახვში კარგა ხანს ერთმანეთს უყურებენ თითქო ახლა შინჯავენ ერთმანეთსაო. ამ დროს ყრილობიდამ გამოვა რომელიმე კარგი ენა-მეტყველი პირი და ეტყვის შესხმას სამახვშიოს. ეს შესხმა აქ ითარგმნება ისე, როგორც გადმომცეს პირ-და-პირ დამსწრე მოწმეთა.

«კარგო კაცო! (სახელია) ევა-ადამიდამ («ივა-ადამენ ღო») დაწყებული კაის მხრით, პატივით და ქებით ხსენებულ არიან შენნი წინაპარნი და ამიერიდგან შენც შეიქმნები. უცხო არ არის შენის თემისთვის (გვარეულობისთვის ამ გვარი პატივი და დიდება ჯარისაგან (ჯარი—публика). ეს ასეა და ტყუილის თქმაც ცუდია, რომ არ მოგახსენოთ, რომ დღეს შენ დიდს პატივსა გდებთ: შენ ერთს ჩვენთაგანს გხდით ჩვენს უფროსად და რამდენადაც დიდია ჩვენი შენდამი პატივის-ცემა, იმდენად ასი-ათას-ჯერ მომეტებული უნდა იყოს შენი ჩვენდამო სიყვარული და თავ-განწირული ერთგულება. დღეის ამას იქით შენ ჩვენი მამა ხარ და ჩვენ შენი შვილები. შენ იცი და შენმა კაი-კაცობამ, თუ როგორ შეასრულებ ამ შენს მოვალეობას და ჩვენს მონდობილობას, მახვშიობას, რომელიც დღეს ჩვენ ხელთ მოგეცით და სხ.,» შემდეგ ეს ორატორი ახსენებს მახვშის უწინდელს სახელოვანს მახვშებს არა თუ იმ საზოგადოებისას, არამედ მთელის სვანეთისას და ბოლოს სთხოვს ღმერთს, რომ ამ ახალს მახვშის დაუმსახუროს იგივე სახელი, როგორიც იმ სახელოვან მახვშებს დაუმსახურნიათ, —იმ მახვშიებს, რომელთა დროს საზოგადოებანი კეთილ-დღეობაში ყოფილან. «ბევრს ნეტავის გვეტყვიან შენ («ობა ნატიალს ჯაქქნინეს») —მიუბრუნდება ორატორი ისევ მახვშის—თუ ყოველივე ისე მტკიცედ აღასრულე, როგორც ჩვენი რიგი და წესი მოითხოვს!» დასასრულ, ორატორი ქუდ-მოხდილი დაიჩოქებს და აღავლენს ვედრებას ღვთისადმი: «დიდება შენდა მაღალო ღმერთო! გევედრებით და შეგვიწყალე: თუ ოდესმე სვანეთის ხეობაში (მუჰნე ტვიბ) მახვშის აღრჩევა კეთილი და ბედნიერი ყოფილიყოს, მეორედაც ეს ჩვენი მახვშის აღრჩევა კეთილი და ბედნიერი გახადე, ამენ!»—«ამენ» ერთობილის ხმით შებღავლებს ერი დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი.

ამზედ მახვში ჯერ მადლობას მოახსენებს ჯარს და შემდეგ დაიწყებს ხმამაღლივ ლოცვას: «დიდება შენდა კაცთა გამჩენელო ღმერთო (ამსვალდა მუწსე ღერმეთ) გეხვეწები და შეისმინე ჩემი ვედრება; სახვედრელს მიმასვედრე; შეცდომას ამაცილე; ჭკუა-გონება მომეც; ყოვლგვარს კეთილ საქმეში მწე და მფარველი მეყავ; ქაჯ-ეშმაკი ამაშორე; შემაძლებინე ღირსეული სამსახური საზოგადოებისადმი; ნუ ჩამაგდებ მე და ჩემს შვილსა და მომავალს «ამოუღებელ (უკიდა) სირცხვილში, მომეც ძალი და ღონე, რომ სიკვდიმდე გავატარო მახვშიობა პატიოსნად, საზოგადოების საკეთილ-დღეოდ და ჩემდა სასიქადულოდ და სხ.» ამით თავდება მახვშის აღრჩევის ცერემონიალი. ხალხი დაიშლება, და მახვშიც, შემოსილი უფლებითა და პატიოსნებით, შეუდგება საქმეს.

ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ მახვშის არჩევა უკანონო ყოფილიყო, რადგან არავის შეეძლო ვინმე გაენდო და ვისთვისმე ეთქო, რომ მას ჰსურს მახვშიობა, ან ამის გულისთვის ქრთამი რამ გაეღო და მომხრეები ეშოვნა. მახვში თავისთავად დაგულვებული იყო მით, რომ მას მიუძღოდა რომელიმე ღვაწლი ხალხის წინაშე და ზემოთ თქმულნი სათნოებანი, რომლითაც ის სხვებს აღემატებოდა.

მახვშის არავითარი ჯამაგირი არ ეძლეოდა. ყოველს სასყიდელზედ უფრო მაღლა აყენებდა იგი და ხალხიც ამდენს მისდამი ყურადღებას მთელი საზოგადოებისას. ამით სახელი მისი მათუბურად უკვდავი ჰხდებოდა შთამომავლობაში და ეს იყო მისი ჯილდო.

მახვშის ბევრ-ნაირი მოვალეობა აწვა კისერზე. იმის უფლება თითქმის შეუფარგლველი იყო. ის ერეოდა ყოველ საქმეში, რასაც ცხოვრების მიმდინარეობა მოიტანდა. საქმე,—სასულიერო ყოფილიყო, თუ სახორციელო, სისხლის სამართალი თუ სამოქალაქო, ყველაში პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ ისე კი რომ ყრილობის გადაწყვეტილების მორჩილი უნდა ყოფილიყო.

საზოგადოდ, საქმეს მახვში ყრილობის დაუკითხავად და მისგან ნების დაურთველად არაოდეს არ იკისრებდა და არ ითავებდა, და თუ ზოგჯერ ითავებდა რასმე, მხოლოდ მაშინ, როცა სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეში საზოგადო ინტერესები მტკიცედ დაცულ არიან და საზოგადოებაც ამ შემთხვევაში წუნს არ სდებდა მახვშის ნამოქმედარს. ყოველ საზოგადო საქმეში მახვში ჯერ დაეკითხებოდა გამოცდილ და სარწმუნო კაცებს და მათებურად დადგენილს მოსაზრებას და გადაწყვეტილებას იგი წარუდგენდა საზოგადო ყრილობას. მოახსენებდა რა საზოგადო ყრილობას საქმის გარემოებას, მახვში წარმოსთქვამდა თავის შეხედულობასაც და დადგენილობას. თუ ეს ყრილობას მოეწონებოდა, ბევრის აწონ-დაწონის შემდეგ, დაამტკიცებდა, თუ არა და დადგენილობას შესცვლიდა ან მთლად, ან რამდენადმე.

მახვშის ჰქონდა უფლება, რომ სახალხო ხანგრძლივის დღესასწაულობის დროს, როცა ხალხში მთვრალობისა გამო ჩხუბ-კვლა და სხვა უწესოება ხშირად ხდებოდა,—მაშინ ყველასთვის იარაღი აეყარა. აჭერიდა და დღესასწაულის გათავების შემდეგ ყველას კუთვნილებისამებრ დაუბრუნებდა.

როგორც საზოგადო საქმეებში, ისე კერძო შემთხვევაში მახვშის პირველი ადგილი ეჭირა. მის სამღვთო და ზნეობითს მოვალეობას შეადგენდა: დაცვა მეგობრობისა და მშვიდობიანობისა საზოგადოების წევრთა შორის. აგრეთვე მორიგების ჩამოგდება მოჩხუბართა და მოძულეთა შორის. მახვშის განსაკუთრებით ბევრი საცდი ჰმართებდა მაშინ, როცა რწმუნებულს მისდამი საზოგადოებაში გვართა ბრძოლა მოხდებოდა და, როდესაც ორ თემს შორის «სისხლი ჰსდუღდა» (ზისხ ფუვე), როგორც თითონ სვანები იტყვიან. ამ დროს მახვში დღე და ღამ იმათ ოჯახებში დადიოდა. მახვში ცდილობდა რჩევით და შეგნებით მშვიდობიანობა ჩამოეგდო. მაგრამ თუ ამით ვერას გახდებოდა, მაშინ უფრო ენერგიულ საშუალებასაც მიჰმართავდა: მოიწვევდა საზოგადოებას, რომელიც ძალით შეაჩერებდა მოჩხუბრებს. ძნელად თუ ოდესმე ვერ გასჭრიდა მახვშის საცდი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოჩხუბარი და მისი ურჩი თემი დაიმსახურებდა არათუ მის სამდურავს და რისხვას, არამედ მთელის საზოგადოებისას. რაკი მოჩხუბრებს მორიგებაზე დაიყოლიებდნენ, მაშინვე აირჩევდნენ მედიატორებს, რომელთ თავსმჯდომარედ ისევ იგივე მახვში იყო.

ყოველს კერძო საქმეში და ოჯახში მახვშის ისე მიუწვდებოდა ხელი, როგორც საზოგადო საქმეებში. გაყრის დროს მამა-შვილთა, ძმათა და ცოლ-ქმართა შორის ამბოხის დროს პირველი მზრუნველი ისევ მახვში იყო. დანარჩენს მოვალეობას მახვშისას, როგორც სამსაჯულო საქმეების წარმოებაში და მსაჯულთ შედგენილობაში მერეც მოგწერთ და ამიტომ აქ თავს ვანებებ.

რითი უხდიდა საზოგადოება მახვშის ამ გვარს უანგარო სამსახურს?—უხდიდა არა ნივთიერის ჯილდოთი, არა ჯამაგირით, არამედ ერთად-ერთის პატივებით და დაფასებით. ერთი ესა, რომ მახვში ხელთ-უხლები კაცი იყო, რადგანაც ჩვეულებითი მართლიერება (обычное право) მას არ აძლევდა ნებას, რომ ვინმე ხელით შეხებოდა, ანუ გაელახა, ანუ დაეტუქსებინა. მეორე ესა, რომ საზოგადოება უთმობდა მახვშის პირველს, საპატიო ადგილს ყოველგან და ყველასთან და ესე ყოველი ხალხის აზრით უღრმესი და უდიდესი პატივისცემა იყო, ვინემ ნივთიერად დაჯილდოება. მახვშიც ამ აზრისა იყო. მხოლოდ ათასში ერთხელ ხალხი მუშაობაში თუ მიეშველებოდა თავის მახვშის, რომელიც საზოგადო საქმეების გამო მუდამ მომცდარი იყო თავისს კერძო საქმეს. ხალხის საყვარელის მახვშების სახელი ისეთივე დაუვიწყარნი არიან დღესაც სვანეთში, როგორც სხვა ქვეყნებში სხვა-და-სხვა მათი გმირები. ამაში დარწმუნდება ყოველი ცნობის-მოყვარე გარეშე კაცი, თუ ის მათს ცხოვრებას დააკვირდება; ვერ შენიშნავს მხოლოდ მორბედი მოგზაური და ენის უცოდნელი.

სვანი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

დღეს, რუსულ გაზეთებიდამ ამოკრებულ ამბების მაგიერ, გადავავლოთ თვალი სამზღვარ გარეთელ გაზეთების ცნობებს. ეს ცნობები ჯერ-ჯერობით რუსულ გაზეთებში ჩვენ არ შეგვხვედრია და, მაშასადამე, მკითხველთათვისაც უფრო საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს. საზოგადოდ, ჰსჯობს აქვე წინასწარ ვაცნობოთ მკითხველს, რომ ჩვენის «ნარკვევის» განყოფილებაში არც უცხოეთის ჟურნალ-გაზეთობა იქნება დავიწყებული, რამდენათაც, რასაკვირველია, მისი ცნობები ყურადღების ღირსნი იქნებიან ჩვენთვის და მკითხველთათვის.

⁂

მოგეხსენებათ, ამ ერთის თვის წინედ დიდი აყალ-მაყალი აჰსტეხა ევროპის ჟურნალ-გაზეთობაში ინგლისის ახალმა გალაშქრებამ ერთის შუა აზიის სახელმწიფოს—ბირმის წინააღმდეგ. «ზღვათა და ოკეანთა მეფე» დიდი ხანია მტრის თვალით უცქეროდა ამ სამეფოს, ბოლოს კიდეც უპოვნა რაღაც ომის მიზეზი და სამის კვირის განმავლობაში არა თუ დაიპყრო იგი, არამედ დაატყვევა თვით მეფე—ტიბოი და მთელი მისი ოჯახობა. ამ ამბის გამო «*Algeemeine Zeitung*» ამბობს:

«დიდმა ბრიტანიამ ერთის ხრმლის მოქნევით შეუერთა ბირმის სახელმწიფო თავის ინდოეთის სამფლობელოს და ხელთ იგდო ქვეყანა, რომლის სივრცე — **288,000** ოთხკუთხედი ვერსტია. ამ გზით მან სამ მილიონ ნახევარ ხალხს ჩამოართვა თავისუფლება. სხვას რომ ჩაედინა ამისთანა საქმე, ინგლისი პირველი მორთავდა ყვირილს,—აი პოლიტიკური ავზნეობაო, და ახლა, რაკი თვითონ ჩაიდინა, რასაკვირველია, «პოლიტიკური ზნეობა» ჩაათფუჩრა. ამ ჟამად მთელი ინდოეთის იმპერიაში ინგლისს ჰყავს **253,891,000** ქვეშევრდომნი, რომელთა შორის ჯარის კაცები მარტო **100,000** ევროპიელი არის.

⁂

იმ დროს, როცა ინგლისი შინაკაცობდა სხვის ქვეყანაში და ატყვევებდა სხვის მეფეს, საფრანგეთის ერი ირჩევდა თავის წარმომადგენელს—რესპუბლიკის პრეზიდენტს. ამ არჩევანის დროს ძველ პრეზიდენტს, გრევის, რომელიც უკვე ამორჩეულ იქმნა ხელ-ახლად, როდი აღმოუჩენია თურმე ის სულმოკლეობა, რომელიც აგრე ჰსჩვევიათ ჩვენს საარჩევანო კაცებს.

⁂

«ელისეის სასახლეში, ჰსწერს პარიჟელი კორესპოდენტი «*Daily News*»-ისა, არავითარი მღელვარება და მოძრაობა არა ყოფილა ამ დღეს, როცა ბ. გრევის ბედი და უბედობა უნდა გადაწყვეტილიყო. პრეზიდენტი ჩვეულებისამებრ დასეირნობდა თავის უფროსს შვილიშვილთან. ჩვეულებისამებრვე თავის დროზე მისცა საზრდო თავის ხელით შინაურ იხვებს. საუზმის შემდეგ, მან ითამაშა ჭანდრაკი ერთ თავის მეგობართან. თამაშის დაწყების დროს მოვიდა დეპეშა ვერსალიდამ, რომლითაც ბ. ვილსონი (*Le beau-fils du president*) აუწყებდა გრევის შენმა წინაალმდეგმა დასმა ასტეხა ალიაქოთიო. შემდეგ მოვიდნენ სხვა დეპეშებიც, რომელნიც, წაკითხვის შემდეგ პრეზიდენტმა გადასცა იქ დამსწრეთ. ბოლოს, მან გადაწყვეტილად შეიტყო რომ პრეზიდენტათ კვლავ არჩეულ იქმნა, წყნარად ჩაჯდა სავარძელში და ბრძანა: «ახლა კი წმინდა სინიდისით შემიძლია ვსთქვა, რომ ვჰყავ საფრანგეთისთვის, რაც კი შევიძელ. მე უფრო მახარებს ის, რომ კმაყოფილნი არიან ჩემი. რომ არ ამოვერჩიეთ მე, იმავე წმინდა სვინიდისითვე დავტოვებდი ელისეის სასახლესა.»

⁂

ჩვენ, ქართველებისათვის, რომელთაც სულ ერთი-ორი გაზეთი გვაქვს, თუ მეტად არა,—ღირს სანობად უნდა ჩაითვალოს შემდეგი ცნობა ავსტრიის ჟურნალ-გაზეთობაზედ. ლონდონელი «*Times*» სიტყვით, ამ სახელმწიფოში არის ახლა სულ:

1623 ჟურნალი და გაზეთი, რომელთ რიცხვში 490—პოლიტიკურია, 175 ეკონომიური, 118 აგრონომიული, 113 სავაჭრო და სამრეწველო, 92 მედიცინისა, 98 პედაგოგიური, 55 გეოგრაფიული და ისტორიული, 208 სალიტერატურო და იუმორისტიული, 13 სამხედრო, 129 განცხადებათათვის, 53 სამღვდელოებათათვის და სხვ. 727 გაზეთი გამოდის მარტო ვენაში. ზემომოყვანილ გაზეთების რიცხვში 1054 იბეჭდება ნემეცურ, 108 პოლონურ, 95 იტალიანურ, 35 სლავიანურ ენებზედ და სხვა. ამ რიცხვში არ არის მოქცეული იმ გაზეთთა რიცხვი, რომელნიც გამოდიან ვენგრიაში და ვენგრიის პროვინციებში.

გასაოცარია, როგორის და უკუმოუბრუნებელის ბიჯით მიისწრაფება წინ ერთხელ გაღვიძებული ერის გონება.

ამ მოკლე ხანებში დიდის ყოფით და ამბით უდღესასწაულნიათ ჩეხებს ბოჰემიის სატახტო ქალაქს პრაგაში ოცდახუთის წლის იუბილეი თავის უძველესის გა თისა—«*Narodny listy*»-სა. ეგ ფერია, რომ გონება-გახსნ ერმა მართლა იდღესასწა და პატივისცეს ერთგულ შეზრდილს მოღვაწეს. სა შია, რომ ამ ოცდახუთის წინეთ ეგ «*Narodny listy*» ერთი გაზეთი ყოფილა ბოჰემიაში და ახლა კი იქ ოა სი მაგგვარი გაზეთია თურმე! არა გვვანებია ჩვენ: ამ ოცდა ხუთის წლის წინედ ერთი «ცისკარი» იყო ჩვენ ბედობაზედ და დღეს, ოცდახუთის წლის შემდეგ ერთი «ივერია» გვაბადია. როგორც ხედავთ, ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას ვერაფრად უბღარტნია.

უცხოეთი

ოსმალეთი. ოსმალნი, დიდი და პატარა, ძალიან დრტვინავენ თურმე ეხლანდელის ამბების გამო, ჰხედავენ, რომ ფეხ-ქვეშ მიწა ეძვრით, ყოველ მხრიდამ იმუქრებიან და მთავრობა კი ჯერ სიტყვიდამ საქმეზე არ გადადის. ამისთანა უნუგეშო ყოფას მხედრობა აბრალებს სამინისტროს, სამინისტრო სულთანის სასახლეს და სასახლე კიდევ დიპლომატიას. თუ ვინიცობაა გარემოებამ აიძულებს სულთანს ეხლანდელი უქმობა მოქმედებად შესცვალოს, მაშინ ჩვენი ძველი ნაცნობი მუხთარ-ფაშა და

---

*) სახვეო ადგილი მთელის ხევის მცხოვრებთ შესაკრებელი.

*) ნიშნავს სახელოვანს, ქებულს.

ნიშნულ იქნება დიდ ვეზირად, ალი-ნიზამი ფაშა, ეხლანდელი უფროსი ღენერალურ შტაბისა, სამხედრო მინისტრად, აზედდინ ფაშა, რომელიც მოდგმით ალბანელია და დღეს ღენერალ გუბერნატორია სივაში (მცირე აზიაში),—საგარეო საქმეთა მინისტრად, გამოჩენილი ოსმან ფაშა ადრიანოპოლის ლაშქრის სარდლად, და ფუად ფაშა იანინის ლაშქრისა. თუ საქმეთა მდინარეობა მოითხოვს მარტო საპოლიტიკო მოღვაწეობას, მაშინ ან ტუნისელი ხეირედინ ფაშა იქნება დიდ ვეზირად, ან ალილ რიფაათ ფაშა, ეხლანდელი სმირნის ღენერალ ღუბერნატორი, კაცი რიხიანი, მედგარი და მეტად კარგად განათლებული.

საოცარი ის არის, რომ ოსმალეთი ცდილობს მარტო ორის მხრით გაუმაგრდეს მტერსა. ერთი საბერძნეთის სამძღვარია და მეორე სალონიკი, დედაქალაქი მაკედონიისა. საბერძნეთის სამძღვარზედ შეკრებილი ჰყავს 60,000 კაცი; სალონიკში—80,000, ზედა ალბანიაშიაც—80,000; მაკედონიაში, ალბანიაში, ეპირში 250,000 ჯარია, შიგ სტამბოლში 100,000 კაცის ჯარათ.

ამ ჯარების ეხლანდელს ბინაკებს რომ დააკვირდეთ, ცხადი იქნება, ვისი შიში და ფიქრი აქვს ოსმალეთსა: ერთის მხრით ბერძნებისა და მეორის მხრით— ავსტრიისა. ავსტრიის შიში მით უფრო საფიქრებელია და ყურად-ასაღები, რომ აზიიდამ დაბარებული ჯარები პირდა-პირ სალონიკში საჩქაროთ იგზავნებიან და სტამბოლში ჩვეულებრივ მცირე ხანსაც არ აჩერებენ.

ბოლგარიიდამ მოსულმა გადბან-ეფენდიმ მოართვა სულთანს მთავრის მემორანდუმი; მთავარი ამტკიცებს, რომ ბოლგარიის და რუმელიის შეერთება აუცილებლად საჭირო არისო და თუ ამას ინებებთო თქვენს უმაღლესს უფლებას დავიცავო და ფულითაც ოსმალოს სამსახურს გავუწევო. მაშინვე შესდგა თურმე სამინისტრო რჩევა პასუხის მისაგებლად. ჯერ პასუხი არ არის და გადბან ენდი უცდის სტამბოლში, რადგანაც თან უნდა წაიღოს ეგ პასუხი სო- მი. საჭიროა ვსთქვათ, რომ სულ- და ბოლგარია ძალიან მოუტკბილ- მ ბოლოს დროს ერთმანეთს. ნებენ კიდეც რომ უშუა-კაცოდ დებიანო და ბოლგარიას რუმელია ოდებაო სულთანის თანხმობით. ომ სულთანი კაის გულით არის ახლა ბოლგარიაზედ, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ სულთანმა ფული შეჰსწირა ბოლგარელებს დაჭრილთა სასარგებლოდ. ბოლგარელნი თურმე დიდად კმაყოფილნი არიან ამისგამო. ამ მოტკბილებას სულთანისას ამბობენ მიზეზად, რომ საბერძნეთს უწინდელზედ უფრო მეტად ბალანი აუშალაო.

* * *

ბოლგარია. ბოლგარიის მთავარს არა ჰსურს, რომ ოსმალოს რწმუნებულს მეჯიდ-ფაშას, რჩევის მეტი, სხვა რამ უფლება ჰქონდეს სერბიასთან მოლაპარაკების დროს. მეჯიდ-ფაშამ აუწყა სერბიის სამინისტროს, რომ სულთანი არას გზით არა ნებულობს, რუმელიაზედ სიტყვა ჩამოაგდოს ვინმემ მორიგების დროსაო. სერბიას ჰსურდა თავის დაცემულის სახელის აღსადგენად მოლაპარაკება მორიგების გამო ბელგრადში მაინც მომხდარიყო, ბოლგარიის მთავარმა არა ჰქმნა და ითხოვა ჩემს ქალაქში, ესე იგი, სოფიაში, მოახდინეთო. ბოლგარიის მთავარი ალექსანდრე, რომლის წინამძღოლობითაც ბოლგარიის ჯარმა გასაოცარი ვაჟკაცობა გამოიჩინა და გამარჯვება დაინარჩუნა, დღე-და-ღამ იმის ცდაშია თურმე, რომ თვისი მეომარი მხედრობა 120,000 კაცამდე აიყვანოს. ბოლგარიის საქმეთა გამო დიდთა სახელმწიფოთა შორის დადის აზრი კონფერენციის ხელ-ახლად შედგენისა.

* * *

სერბია. მშვიდობიანობის ჩამოგდების სურვილმა ძალიან ფეხი გაიდგა სერბიაში. კოროლევა ნატალიას მეოხებას აწერენ ამ ამბავსა. იმის ძლიერი მომხრე გარაშანინიც კი მორბილდაო და ეხლა მარტო იმის ცდაშია თურმე, მინისტრობა არ ჩამოერთვასო. ერთს სერბიელ გამოჩენილ კაცს უთქვამს თურმე, რომ რადგანაც ევროპამ სერბიაზედ გული აიყარა, კოროლი ჭკუას ისწავლისო და მეორედ ევროპაზედ დაიმედებული აღარ იქნება და მარტო თავისის ერის სურვილს აჰყვებაო.

* * *

საბერძნეთი. საბერძნეთის ყოველი ჟურნალ-გაზეთი ყალხზედა დგას და იძახის ომი აუცილებელიაო. ამისგამო ომის წყურვილი ამ ბოლოს ხანებში მეტად გაძლიერდა და ეგ აშფოთებს მთელს ევროპას. დიპლომატების წრეში ხმა დადის, რომ დიდნი სახელმწიფონი ენერგიულს ნოტას გაუგზავნიან საბერძნეთსა და დაავალებენ მშვიდობიანობა არ დაარღვიოსო. საბერძნეთში ხმა დადის თურმე, რომ პალატები დროებით გაუქმდებიან და დიქტატორობა დაწესდებაო.

საბერძნეთს შეუყრია ჯარათ 72,000 კაცი და 1,772 აფიცერი. ეს რიცხვი უფრო იმატებს თურმე იანვრის განმავლობაში, რადგანაც აპირობენ მეორე მოსაწოდების მეომართა მოწვევას. ამოდენა ჯარის თოფ-იარაღის ქვეშ დაყენება ღარიბ საბერძნეთისათვის დიდი ამბავია. ამბობენ, რომ თუ არ ომის მოლოდინის გამო ესეთი თავის გაწირვა საბერძნეთისაგან ძნელი მოსაფიქრებელიაო.

* * *

ეგვიპტე. ინგლისის რწმუნებულ დრუმონდ ვოლფისა და ოსმალოს კამისარის მუხთარ ფაშის შუა უთანხმოებას ბოლო მოეღოვო. ინგლისის გაუბედავმა პოლიტიკამ და უფრო მისის ჯარების უკან დახევამ კოშეხიდამ ინგლისის სახელი ძალიან დაამცირაო მთელს სუდანში.

სუდანის აჯანყებულნი ინგლისელებს დამარცხებულად ჰსთვლიან ასე, რომ აჯანყებულთა მოთავე მაჰმედ-ელ-ჰეირი ჰსწერს თურმე თავის პროკლამაციაში: ჩვენი ძლევა-მოსილი მსვლელობა უნდა განვაგრძოთო, რადგანაც ჩვენის შიშით ინგლისელებმა პირი იბრუნეს დონგოლიდამაო.

* * *

ავსტრია. ავსტრიამაც ძალიან მოუტკბილა ეხლანდელს საქმეებს. სად არის ეხლა ის რიხიანი ხმა, რომელმაც შეაყენა ძლევა-მოსილი სვლა ბოლგარიისა სერბიაზედ? ამ მოტკბილების მიზეზი ინგლისი არჩევანის შედეგია. რაც უნდა იყოს, ამ არჩევანმა სალიუსბერის მინისტრობა სათუოდ გახადა და რადგანაც ავსტრიას მარტო სალიუსბერის იმედი ჰქონდა, მხარს მომცემსო რუსეთის წინააღმდეგ და ეხლა ვინ იცის, თავს დაიჭერს სალიუსბერის სამინისტრო, თუ არა, ამიტომაც ყოველთვის ფრთხილმა პოლიტიკამ ავსტრიისამ ყოველ შემთხვევისათვის ხმა დაიმდაბლა. ბოლგარიას მაინც ალმაცერად უყურებს, რადგანაც ჰსწამობს რუსეთის მომხრეობას და არა შემთხვევას არ ჰკარგავს, რომ არ აწყენინოს რამე. ეხლახან ბოლგარიიდამ წამოუყვანია თავისი კონსული მარტო იმის გამო, ბოლგარიის მთავრის დასხედრის ცერემონიაში მონაწილეობა რად მიიღეო.

* * *

ისპანია. კარლისტების მეთაურები ყოველ დღე თურმე ფარულად იკრიბებიან და გაცხარებული რჩევა და ლაპარაკი აქვთ,—თუ როგორ გამოიყენონ ეხლანდელი დრო. კატალონიაში შეთოფიარაღებულნი გუნდნი კარლისტებისა უკვე გამოჩნდნენ თურმე, მთავრობა სასტიკად იქცევა, რომ არეულობა არა მოხდეს რა.

* * *

საფრანგეთი. ახალი სამინისტრო ფრეისინესი პირ-და-პირ და მოურიდებლად აცხადებს, შორს გალაშქრებას ბოლოს მოუღებთო, ჩვენ გვინდა ხელ-ფეხი გაგვეხსნას, შინ მოვიკრიბოთ ჩვენნი ძალნიო. ეს, ჩვენის აზრით, ასე ითარგმნება სიკვდილის შვილთა ენაზედ: ჩვენ გარედ რა ხელი გვაქვსო, საკოლონიო პოლიტიკას თავი უნდა დავანებოთ და ჩვენი თვალი და ღონე ვოგეზებს არ უნდა მოვაშოროთო. თუ ინგლისში გლადსტონმა ჩაიგდო ხელში სამინისტრო და ფრეისინეს სამინისტროც დაპირებულს გზას დაადგა, დასავლეთი ევროპა ბისმარკს არ აფარიფაშებსო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქრონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქრონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

8 დღე ოთხშაბათი. ღირსისა გიორგი ხოზევიტელისა, წმ. აბო სპარსისა, წამებულ იქმნა ტფილისს 790 წ. მეტეხის ახლოს, ავლაბრის ხიდის ყურთან, სადაც ეხლა ნიშია. აბოს გვამი დამარხულია ქართლში სოფ. არბოს ეკლესიაში; სომხთა: მე-3 დღე შობისა და ნათლის-ღების შემდეგ. სალამოზედ ნახატონაკია. კათოლიკეთა: აბატის სევერინისა და ფელიქსისა. მაჰმადიანთა: მე-15 დღე რები-ულ-ახირის თთვისა, 1303 ჰიჯრისა.

მიიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზ ქ. ასტრახანს. ერეკლე II გამეფდა ქართლსა და კახეთში 1762 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—19. ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 4—59. მთვარე ამოდის 6—48; ჩადის 7—23. მთვარე 16 დღისაა. 10 საათ. 44 წ. დ. ტფილისში იწყება გავსება მთვარისა.

9 დღე ხუთშაბათი, წმ. მოწ. პოლიევქტოსი. კათოლ. მარციანისა და სალვიუსი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—36 ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 5—1; მთვარე ამოდის 7—59 ღამ., ჩადის 8—5

10 დღე პარასკევი. წმ. გრიგოლ ნოსელისა. კათოლ. ამატონისა და ეპ. ვილჰელმისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—22; ჩადის 5—2. მთვარე ამოდის 9—10 ღამ., ჩადის 8—44.

11 დღე შაბათი. ღირსისა თეოდოსი დიდისა. კათოლ. გიგინისა და მონორატისა.

გარდაიცვალა მეფე ქართლისა ერეკლე 1789 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—8. ტფილისში მზე ამოდის 7—21; ჩადის 5—3. მთვარე ამოდის 10—19 ღ., ჩადის 9—23.

12 დღე კვირა, წმ. ქალწულ-მოწამისა ტატიანასი. კათოლ. არკადისა და ლუკრეციისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—22. ტფილისში მზე ამოდის 7—20; ჩადის 5—5. მთვარე ამოდის 11—24 ღ., ჩადის 9—59.

13 დღე ორშაბათი, წმ. მოწ. ერმილე, სტრატონიკე. სომხთა: სახელწოდება, წინადაცვეთა უფლისა. ნახატონაკი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12—36. ტფილისში მზე ამოდის 7—19; ჩადის 5—6. მთვარე ამოდის 11—24; ჩადის 10—34.

* * *

«ივერიის» ფოსტა.

ქუთაისს. ბ. ნ—ძეს. თქვენი წერილი, თქვენის თხოვნის წინააღმდეგ, ფელეტონად კი არა,—მოწერილ ამბავათ იბეჭდება, როგორც სამაგალითო და სახელმძღვანელო წერილი სხვა კორრესპონდენტებისათვის.

ახალ-სენაკს. ახალ-სენაკელს. თქვენის წერილის პასუხს საკვირაოს «სახელდახელოში» იპოვნით.

დ. ყვირილას. მ. ალ. ა—შვილს. «მოჰკვდა ერთი, იშვა მეორეო», ბრძანებთ თქვენ. პირველისთვის ჰსწუხართ, მეორისთვის ილხენთ,—ჩვენც თქვენთან ერთად ვსწუხვართ და ვილხენთ, მაგრამ მაინც თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. ნისიად გაზეთის გამოგზავნა ჩვენის კონდაკით აღკრძალულია.

განცხადებანი

ახალი **სასწავლებელი და პანსიონი** ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტის მასწავლებლის გ. ნ—ძის **იოსელიანისა** იღებს ყმაწვილებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში. ვინც კი საჭიროებს ყმაწვილების მომზადებას, ესთხოვთ მიმართონ მას ქ. ტფილისში. მიხეილის ქუჩა № 81-ი. (3—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად პატარა სურათებიანი წიგნი (33 სურათია), რომელსაც ეწოდება:

შალვას თავ-გადასავალი.
კახელისა
ფ. 20 კ. იყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. (3—2)

ქართულის დრამატიულის საზოგადოების წევრთა გამოეცხადებათ ამით, რომელ წესდების მე-13 და მე-17 მუხლების საფუძველზედ იქნება უჩვეულო საზოგადო კრება დრამატიულის საზოგადოებისა ამა იანვრის 12 რიცხვსა, კვირას, 12 საათზე არწრუნისეულ თეატრის დარბაზში. ამისთვის მოიწვევიან წევრნი საზოგადოებისა.

თავმჯდომარე ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა თ. რაფ. ერისთავი.
(6—2)

въ городѣ карсѣ.
ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА
Карсской Области
ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ГАЗЕТУ
„КАРСЪ"
на будущій 1886 годъ

газета «КАРСЪ» въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по тойже программѣ и подъ тою же редакціею.

условія подписки
съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, въ четыре мѣсяца одинъ рубль.
Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета «КАРСЪ» имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространение въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ, а потому редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1886 годъ
на армянскую ежедневную, политико-литературную газету
„НОРЪ-ДАРЪ"
(III годъ изданія)

Газета въ 1886 году будетъ выходить по прежней программѣ.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА:
Съ доставкою и пересылкою на годъ 10 р., на шесть мѣсяцевъ 6 р., на 3 мѣсяца 3 р. 50 коп., на 1 мѣсяцъ—1 р. 50 коп.
Подписка принимается съ 1-го числа каждаго мѣсяца.
Подписка и объявленія (по 2 коп. за слово на всѣхъ языкахъ и съ переводомъ на армянскій) принимаются исключительно въ конторѣ редакціи «НОРЪ-ДАРЪ».
Редакція «Норъ-Даръ» помѣщается за почтою, на Троицкой улицѣ, противъ Троицкой церкви, № 10.
Иногородные адресуются: Тифлисъ. Редакція «Норъ-Даръ».
Редакторъ-издатель С. Спандарянцъ.
(5—3)

Дозволено цензурою Тифлисъ 7 января, 1886 года   ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნას ქუჩაზე, საკუთარ სახლში.   რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.